

ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ჭადრაკის კლუბ „ნტნ“-ის საკვირაო ონლაინ ბლიცტურნირის დებულება

ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე (შემდგომში - სასახლე), 80 წლის საიუბილეოდ, ჭადრაკის კლუბ „ნტნ“-სთან ერთად ატარებს საკვირაო ონლაინ ბლიცტურნირს.

მუხლი 1. ბლიცტურნირის მიზანი

ბლიცტურნირის მიზანია მსოფლიო პანდემიიდან გამომდინარე შეწყვეტილი სატურნირო აქტივობების ონლაინ სივრცეში გადატა და ჭადრაკის პოპულარიზაცია.

მუხლი 2. ძირითადი ინფორმაცია და ვადები

2.1. ბლიცტურნირში მონაწილეობა შეუძლიათ სასახლის საჭადრაკო სკოლის მოსწავლეებს და 20 წლამდე ასაკის მოწვეულ მოჭადრაკეებს;

2.2. ბლიცტურნირი დაიწყება 2021 წლის 7 თებერვალს და გაგრძელდება 2021 წლის 2 მაისამდე;

2.3. ბლიცტურნირი ჩატარდება პლატფორმა chess.com მეშვეობით;

2.4. ბლიცტურნირში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია თითოეული ტურნირის წინ მონაწილეებმა გაიარონ რეგისტრაცია. რეგისტრაცია დაიწყება ყოველი ტურნირის დღეს, 10 საათზე.

2.5. ბლიცტურნირში თითოეულ მონაწილეს განსაზღვრული ექნება 3 წუთი, 2 წამის დამატებით.

2.6. ტურნირს ადმინისტრირებას გაუწევს ამირან ჭანტურია, ხოლო ტურნირის მსაჯი იქნება გიორგი მაჭარაშვილი. ამასთან, ტურნირს კონსულტირებას გაუწევს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ტურნირების და ღონისძიებების დირექტორი დავით კოდუა.

2.7. ბლიცტურნირის დეტალური განრიგის ნახვა შესაძლებელია სასახლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე youthpalace.ge

მუხლი 3. გამარჯვებული მონაწილეები და დაჯილდოება

ტურნირში გამოვლინდება 3 პრიზიორი, 20 წლამდე საუკეთესო მონაწილე და 12 წლამდე საუკეთესო ნორჩი მოჭადრაკე, რომლებიც დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით.